

როგორ უნდა გავაუმჯობესოთ საშინაო დავალების ეფექტიანობა?



ეკა გიგაშვილი, მარიკა ნემსაძე, ნათია უჩავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა გიგაშვილი

მარიკა ნემსაძე

ნათია უჩავა

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ე. თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში ჩატარებულ კვლევას საშინაო დავალების ეფექტიანობის შესახებ მე-10-ე კლასში. კვლევის საფუძველი გახდა ამ სკოლის მასწავლებელთა ჯგუფის სურვილი, გაუმჯობესებულიყო საშინაო დავალების ეფექტიანობა ერთობლივი მუშაობით.

პრაქტიკული კვლევის არსი მდგომარეობდა პრობლემის შესწავლაში (რამდენად დაკავშირებულია საშინაო დავალება საკლასო სამუშაოსთან, რამდენად გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის უნარ-ჩვევა, როგორ ხდება საშინაო დავალების შესწორება და რა კრიტერიუმებით ხდება შეფასება), ინტერვენციების დასახვასა და მათი ეფექტის შეფასებაში.

ნაშრომში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია, აღწერილია კვლევის ეტაპები: პრობლემის იდენტიფიცირების, პრობლემის გამომწვევი მიზეზების, ინტერვენციების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების.

კვლევაში აღწერილია ის სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც ეფექტურად მივიჩნიეთ. პრობლემის კვლევისა და ინტერვენციის ანალიზმა მოგვცა საშუალება მეათე პირველი და მეათე მეორე კლასის მასწავლებლისთვის შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც, ჩვენი აზრით, გაუადვილებთ მათ სამუშაო პროცესს და საშინაო დავალებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მათემატიკის საშინაო დავალება, საშინაო დავალების ეფექტიანობა, დავალების შესწორება, მათემატიკის დავალების ეფექტიანობა.

Abstract

The document is about the action research, which was held at Tbilisi Public School N122 about the homework efficiency in 10.1 and 10.2 classes. The idea of the project was proposed by teachers who expressed the wish to jointly work on the issue.

The main aim of the action research was to analyze the problem (whether homework was linked to class work and students' individual needs and capacities, how does teacher check homework and what are the criteria for evaluating students), plan and implement interventions and evaluate their effect.

The document reviews scientific literature about the homework effectiveness and improvement strategies, describes methodology of the research, and stages: problem identification, planning, implementation and evaluation, overviews the strategies that we think are effective. The problem and intervention analyses gave us an opportunity to develop the recommendations for a teacher. We believe our recommendations will help her and other teachers in the working process and the homework will become more effective instrument for increasing students learning outcomes.

Tag words: Math homework, homework efficiency, homework correction, Math homework efficiency